ოთარ ჯანელიძე •

საპარლამენტო ოპოზიციური ფრაქციები საქართველოს დამფუძნებელ კრებაში ••

დამფუძნებელი კრება ახლად შექმნილი ქართული სახელმწიფოს - საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის ძირითადი კანონის - კონსტიტუციის შესამუშავებლად და დასამტკიცებლად ჩამოყალიბდა. 130 წევრისაგან შემდგარი ამ წარმომადგენლობითი საკრებულოს სრულად დაკომპლექტებას ძირითადის გარდა, ორი დამატებითი არჩევნების ჩატარებაც დასჭირდა. ძირითად არჩევნებში წარმატებას ოთხმა პოლიტიკურმა ძალამ - სოციალ-დემოკრატიულმა, სოციალისტ-ფედერალისტურმა, ეროვნულ-დემოკრატიულმა და სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიებმა მიაღწიეს. ადგილები ასე გადანაწილდა: უმრავლესობა სოციალ-დემოკრატებმა (მენშევიკები) მოიპოვეს და აღმასრულებელი ხელისუფლებაც მათ ერთპარტიულად შეადგინეს. სხვები კი მის ოპოზიციაში აღმოჩდნენ. მათგან, ეროვნულ-დემოკრატიული პარტია მემარჯვენე, ხოლო ესერები და ფედერალისტები მემარცხენე ოპოზიციას მიეკუთვნებოდნენ.

დამატებითი არჩევნების შედეგად ფრაქციების რიცხვი 6-მდე გაიზარდა (დაემატა დაშნაკცუთიუნის 3 კაციანი და ეროვნული პარტიის 1 კაციანი ფრაქციები). მოგვიანებით, სოციალ-დემოკრა-

---

• ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი; გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

•• მოხსენება 2022 წლის 12 დეკემბერს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩატარებულ კონფერენციაზე „საქართველოს დამფუძნებელი კრება: ქართული პარლამენტარიზმის გამოცდილება“

ტიული პარტიის გაყოფის შემდეგ, ჩამოყალიბდა კიდევ ერთი – „სხივის“ ფრაქცია.

ფრაქციების თავმჯდომარეები იყვნენ: სოციალ-დემოკრატების – რაჟდენ არსენიძე, შემდეგ აკაკი ჩხენკელი; სოციალისტ-ფედერალისტების - გიორგი ლასხიშვილი; ეროვნულ-დემოკრატების – გიორგი გვაზავა; სოციალისტ-რევოლუციონერების – ლეო შენგელაია; ეროვნული პარტიის – გრიგოლ ვეშაპელი; დაშნაკცუთიუნის – დავით დავითხანიანი; ფრაქცია „სხივის“ – გრიგოლ გიორგაძე;

დამფუძნებელი კრება არა მარტო კონსტიტუციის პროექტს ამზადებდა, არამედ უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოდ ითვლებოდა და სხვა სამართლებრივ აქტებსაც გამოსცემდა. ამასთან, კრება იყო მთავარი ასპარეზიც ქვეყნის პოლიტიკური პროცესისა, რომელშიც მნიშვნელოვანი ადგილი ოპოზიციას ეკავა.

პოლიტიკური ტერმინი ,,ოპოზიცია“ ლათინური წარმომავლობის სიტყვაა და ,,დაპირისპირებას“, ,,წინააღმდეგობას“ ნიშნავს. სოციოლოგიურ ენციკლოპედიაში ოპოზიციის ასეთი განმარტებაც გვხვდება: ,,2. ორგანიზაცია, პარტია, პირი, რომელიც გამოდის ხელისუფლების გაბატონებული აზრის, ხელისუფლების სისტემის, კონსტიტუციის, მთლიანად პოლიტიკური სისტემის წინააღმდეგ“.[1]

სიტყვა ,,ოპოზიცია“ პოლიტიკურ ლექსიკაში დაახლოებით მეთვრამეტე საუკუნის 30-40-იანი წლებიდან დამკვიდრდა. სამეცნიერო ლიტერატურაში მის პირველშემომტანებად ინგლისელ მოაზროვნეებსა და სახელმწიფო მოღვაწეებს გ. ბოლინბროკსა და ე. ბრეკს მიიჩნევენ.

უზოგადესი განმარტებით, ოპოზიცია ხელისუფლების ანტონიმია და მასთან დიხოტომიურ წყვილს ქმნის – ,,ხელისუფლება-ოპოზიცია“. ოპოზიციის ინსტიტუციური გაფორმება, მისი უფლებრივი ლეგიტიმაციის პროცესი ახალ დროში იწყება. როგორც გერმანელი კონსტიტუციონალისტი თ. შტერნბერგერი მიიჩნევს, ,,სა-

[1] Социологическая энциклопедия. В 2-х томах, т. 2, М., 2003, ст. 109.

პარლამენტო პოლიტიკური ოპოზიციისადმი ტოლერანტული დამოკიდებულება, მისი აღიარება, ლეგიტიმაცია და, ბოლოს და ბოლოს, ინსტიტუციონალიზაცია პოლიტიკური კულტურის ყველაზე არსებითი გამოგონებაა".[2]

თანამედროვე რეალობაში ოპოზიცია საზოგადოების პოლიტიკური სისტემის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ელემენტი და მისი უცვლელი ინსტიტუტია, და ეს იმდენად ნიშანდობლივია, რომ მის გარეშე პარლამენტარიზმის წარმოდგენა შეუძლებელიც კია. მეტიც, ოპოზიციის არსებობა თვით სისტემის დემოკრატიულობის განმსაზღვრელ ნიშნადაც მიიჩნევა. საილუსტრაციოდ შეიძლება დავიმოწმოთ პოლიტიკის ენციკლოპედია, რომელშიც მკაფიოდაა ფორმულირებული: ,,არსებული ხელისუფლების ოპოზიციის თავისუფლება – დემოკრატიის ფუნდამენტური უფლება... და იმ ფაქტის აღიარებაა, რომ ოპოზიცია ისეთივე კანონიერი და არსებითია სახელმწიფოსათვის, როგორც თავად ხელისუფლება".[3]

საგულისხმოა ისიც, რომ ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეა მოუწოდებს ეროვნულ პარლამენტებს (1998 წ. რეზოლუცია N 1154), უზრუნველყონ ოპოზიციისათვის იმგვარი სტატუსი, რომელიც მას შესაძლებლობას მისცემს, იყოს კონსტრუქციული და უფრო პასუხისმგებლური.[4] განსაკუთრებული ყურადღება აქვს დათმობილი ოპოზიციის მაკონტროლებელი ფუნქციის მნიშვნელობას.[5]

---

[2] Sternberger D., Opposition des Parlamenets und parlamentarische Opposition. In: Lebende Verfassung, Bd. I, Meisenheim am Glan, 1956, s. 133. 7.

[3] http://рос-мир.рф/node/3034

[4] Democratic functioning of national parliaments http://assembly.coe.int/nw/xml/XRef/Xref-XML2HTML en.asp?fileid=16611&lang=en

[5] Procedural guidelines on the rights and responsibilities of the opposition in a democratic parliament http://semantic-

საინტერესოა ოპოზიციის ტიპოლოგიზაცია, რომელიც განსხვავებულ საფუძვლებს ემყარება. პოლიტიკური ტრადიციის შესაბამისად, თავისი ადგილისა და როლის მიხედვით, პოლიტიკურ ძალთა სისტემაში, გამოყოფენ მემარცხენე, მემარჯვენე, ცენტრისტულ და მისთ. ოპოზიციას; მოქმედების თვალსაზრისით, განასხვავებენ ზომიერ, რადიკალურ, ლოიალურ, კონსტრუქციულ და დესტრუქციულ (დამანგრეველ) ოპოზიციას; ხელისუფლების სისტემასთან მიმართებით, განირჩევა სისტემური და არასისტემური ოპოზიცია; ლეგიტიმურობის ხარისხის თანახმად, – საპარლამენტო და არასაპარლამენტო ოპოზიცია და სხვ. განასხვავებენ ასევე, ,,პასუხისმგებლურ“ და ,,არაპასუხისმგებლურ“ ოპოზიციას.

დემოკრატიულ საზოგადოებაში ოპოზიცია რამდენიმე ფუნქციას ასრულებს: იგი აიძულებს ხელისუფლებას, იმოქმედოს ღიად და გამჭვირვალედ, არ შელახოს მოქალაქეთა თავისუფლება და უფლებები, შეასრულოს წინასაარჩევნო დაპირებები და იყოს ანგარიშვალდებული ხალხის წინაშე. ოპოზიცია მოწოდებულია აკრიტიკოს მმართველი ძალის პოლიტიკური თუ ეკონომიკური კურსი, ფხიზლად მიუდგეს მთავრობის პროგრამას, გეგმებსა და გადაწყვეტილებებს, არგუმენტირებულად გაანალიზოს ისინი და საპირისპიროდ ამომრჩეველს საკუთარი ალტერნატიული წინადადებები შესთავაზოს.

ამ მცირე თეორიული წანამძღვრის ფონზე თვალი გადავავლოთ ოპოზიციური პარტიების საქმიანობას 1918-1921 წლების საქართველოში, მაგრამ რადგან ამ ვრცელ თემას ერთი სტატია ვერ ამოწურავს, გამოვყოფ ოპოზიციური სპექტრის დამოკიდებულებას სახელმწიფოებრივი ცხოვრების ისეთი არსებითი საკითხებისადმი,

---

pace.net/tools/pdf.aspx?doc=aHR0cDovL2Fzc2VtYmx5LmNvZS5pbnQvbncveG1sL1hSZWYvWDJILURXLWV4dHIuYXNwP2ZpbGVpZD0xNzYyNiZsYW5nPUVO&xsl=aHR0cDovL3NlbWFudGljcGFjZS5uZXQvWHNsdC9QZGYvWFJlZi1XRC1BVC1YTUwyUERGLnhzbA==&xsltparams=ZmlsZWlkPTE3NjI2

როგორიცაა ქვეყნის ეკონომიკური განვითარება, საგარეო პოლიტიკა, თავდაცვა და უსაფრთხოება.

მმართველი სოციალ-დემოკრატიული პარტია და მისი ლიდერი ნოე ჟორდანია ერთგულებდნენ პრინციპს, რომ **სახელმწიფოს მონაწილეობა ეკონომიკურ ცხოვრებაში აუცილებელია. ჟორდანიას არაერთხელ განუცხადებია: „ჩვენის ღრმა რწმენით, რესპუბლიკის ფინანსურ ეკონომიკური მდგომარეობის გაჯანსაღება მხოლოდ მაშინ იქნება შესაძლებელი, თუ საქმეში სახელმწიფო ჩაერევა აქტიურათ“.**[6]

აკაკი ჩხენკელის აღიარების მიუხედავად, – ,,ეკონომიკისათვის ჩვენ დრო არა გვქონდა; პოლიტიკამ მეტად დიდი დრო წაგვართვა, განსაკუთრებით საგარეო პოლიტიკამ და ქვეყნის დაცვამ“,[7] – მთავრობა ცდილობდა, სათავეში მოქცეოდა მეურნეობასა თუ მრეწველობას და მათი გაძღოლა ეკისრა.

ხელისუფლების ეკონომიკური პოლიტიკა საპარლამენტო ოპოზიციის მხრიდან კრიტიკის მუდმივი საგანი იყო.

ეკონომიკურ საქმიანობაში სახელმწიფოს ჩარევას ეროვნულ-დემოკრატები შეცდომად თვლიდნენ.[8] გიორგი გვაზავა პირდაპირ მიუთითებდა: რაც უფრო ნაკლებად ჩაერევა ხელისუფლება ქვეყნის ცხოვრების ეკონომიკურ სფეროში, მით უკეთესია სახელმწიფოსათვის. სპირიდონ კედია საქართველოს დამფუძნებელი კრების ტრიბუნიდან აცხადებდა: ,,თუ ჩვენ გვინდა ჩვენი წარმოების განვი-

[6] გაზ. „ერთობა“, 1919 წ., 17 დეკემბერი.

[7] საქართველოს დამფუძნებელი კრება, 1919 წლის 7 აგვისტოს სხდომის სტენოგრაფიული ანგარიში, გვ. 10.

[8] ეს საკითხი, შეიძლება ითქვას, დღემდე საკამათოა. ზოგიერთი თეორეტიკოსის აზრით, სახელმწიფოს მონაწილეობა ტრანსფორმირებად ეკონომიკაში ობიექტურად აუცილებელია. არგუმენტად იშველიებენ მსოფლიო ცივილიზაციის პრაქტიკას, რომელიც გვიჩვენებს, რომ არც ერთ ეკონომიკურ სისტემას ეფექტიანი განვითარებისათვის სახელმწიფოს გარეშე არ მიუღწევია.

თარება, ...ჩვენ უნდა შევცვალოთ ჩვენი ეკონომიკური პოლიტიკა, ჩვენი სისტემა ეკონომიკური საქმიანობისა. ჩვენ ვალდებული ვართ წარმოების ორივე აგენტის ინტერესი დავიცვათ, როგორც მრეწველის, ისე მუშების, თუ გვინდა სწორი საშუალება მივსცეთ ჩვენს ეროვნულ ეკონომიკას. ჩვენ კი სასიკვდილოთ ვაზიანებთ მრეწველის ინტერესს და გადაჭარბებულად ვიცავთ მუშისას. დღეს აშკარაა, რომ ეს გადაჭარბებული დაცვა საზიანოა და მომაკვდინებელი, არამარტო მრეწველისათვის, არამედ მუშებისათვისაც და ბოლოს ქვეყნისათვის“.[9]

ნიკო ნიკოლაძე და ალექსანდრე ასათიანი ასაბუთებდნენ ფოთის პორტის მნიშვნელობას მსოფლიო ვაჭრობაში, ასევე საჭირო და მოგებიან საქმედ მიიჩნევდა ფოთში მეთევზეობისა და თევზის მრეწველობის განვითარებას. ზოგადად, მემარჯვენე ოპოზიცია აცნობიერებდა უცხოური ინვესტიციების როლს ეკონომიკის აღორძინებაში, მოუწოდებდა ხელისუფლებას ქმედითი ნაბიჯების გადადგმისაკენ ბიზნესის ხელშესაწყობად, მოითხოვდა, რომ თანაბრად ყოფილიყო დაცული მესაკუთრე-მწარმოებლისა და მშრომელთა ინტერესები.

მთავრობა მომეტებულ სიფრთხილეს იჩენდა უცხოელ ბიზნესმენთა მიმართ, რისი დასტურიცაა მის მიერ საზღვარგარეთული ფირმებისა და კომპანიების რამდენიმე საყურადღებო პროექტის დაბლოკვა.[10] ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისადმი ამგვარი მიდგომა გარკვეულად სოციალ-დემოკრატების პარტიული შეხედულებებითა და პრინციპებითაც იყო განპირობებული. სხვათა შორის, პირველი რესპუბლიკის სოციალ-დემოკრატ მესვეურებს ასეთი სიფრთხილისაკენ მოუწოდებდა მათი დიდი მხარდამჭერი,

[9] საქართველოს დამფუძნებელი კრება, 1919 წლის 29 ივლისის სხდომის სტენოგრაფიული ანგარიში, გვ. 24.

[10] დაუშვილი ა., ფოთის საზღვაო პორტი 1917-1921 წლებში, ჟურნ. ,,ანალები“, 2011, # 7, გვ. 221.

მეორე ინტერნაციონალის ერთ-ერთი თვალსაჩინო ლიდერი კარლ კაუცკი. იგი ურჩევდა საქართველოს ხელისუფლებას, რომ უპირატესობა საგარეო სესხისათვის მიენიჭებინათ, ხოლო ქვეყნის ექსპლუატაციის ისეთი მწვავე ფორმის ხელშეწყობისაგან, როგორიცაა უცხოელი კაპიტალისტების მიერ ადგილობრივი ინდუსტრიული საწარმოებისა თუ სატრანსპორტო კომუნიკაციების შეძენა, - თავი შეეკავებინათ.[11]

ხელისუფლების ეკონომიკური პოლიტიკა არ მოწონდა არც მემარცხენე ოპოზიციას, – განსაკუთრებით სოციალისტ-რევოლუციონერებს. ესერთა აზრით, აუცილებელი იყო პროგრესული გადასახადის შემოღება შემოსავლებსა და მემკვიდრეობაზე, არაპირდაპირი გადასახადის გაუქმება და მისი დატოვებას მხოლოდ ფუფუნების საგნებზე. ისინი ასევე, მოითხოვდნენ გადასახადისაგან ღარიბი მოსახლეობის სრულ განთავისუფლებას და სხვ. ესერები ქვეყნის ფინანსური მდგომარეობის გაჯანსაღების გზას მთელი ვაჭრობა-მრეწველობისა და აღებ-მიცემობის საქმის სახელმწიფოს ხელში გადასვლაში ხედავდნენ. ესერთა წარმოდგენით, ქვეყანაში არსებული სოციალურ-ეკონომიკური კრიზისი იმ შემთხვევაში დაიძლეოდა თუ ეკონომიკურ ცხოვრებაში აქტიურად ჩაერეოდნენ სახელმწიფო და ადგილობრივი დემოკრატიული ორგანოები.[12]

სოციალისტ-რევოლუციონერებს სრულიად მიუღებლად მიაჩნდათ გარე ინვესტიციების მოზიდვა და საქართველოს მეურნეობასა და მრეწველობაში მისი დაბანდება. ილია ნუცუბიძე დაბეჯითებით აცხადებდა: „თუ ჩვენში შემოვიდა ევროპის კაპიტალი, ეს კაპიტალი ჩვენს პოლიტიკურ ცხოვრებაზეც მოახდენს ზეგავლენას. ...ჩვენ პოლიტიკურს, ეკონომიკურს და ეროვნულ სახეს დავკარ-

[11] კაუცკი კ., სოციალიზმის პრობლემები და პერსპექტივები საქართველოში, თბ., 1920, გვ. 24-25. ასევე; ვადაჭკორია შ., ქართული სოციალ-დემოკრატია 1917-1921 წლებში, თბ., 2001, გვ. 270.

[12] გაზ. ,,შრომა“, 1919 წ., 12 თებერვალი.

გავთ. ...უცხო ძალა, კაპიტალი თუ ჩვენში შემოვა, ის უეჭველად დაგვამარცხებს, თავის მონასტერს აქ მოაწყობს“.[13]

ფედერალისტური პარტია მოითხოვდა საშემოსავლო გადასახადის დაწესებას, არაპირდაპირი გადასახადის გაუქმებას, მხარს უჭერდა მეურნეობის განსაზოგადოებას და ამ საქმეში თვითმმართველობის როლის გააქტიურებას. მიზანშეწონილად თვლიდნენ სახელმწიფოს კონტროლს კაპიტალზე, ასევე, მოითხოვდნენ, რომ სახელმწიფოსა და ადგილობრივ თვითმმართველობათა გამგებლობაში გადასულიყო ბანკები, სამთამადნო მრეწველობა, ფართო მოხმარების საგნების დამამზადებელი ქარხნები, ელექტრო სადგურები, აფთიაქები, სასურსათო საქმე.[14]

მმართველი უმრავლესობა ღრმად იყო დარწმუნებული, რომ საქართველოს სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის საკითხი არა ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ, არამედ რევოლუციამ გადაწყვიტა. ამიტომაც იყო, რომ დამოუკიდებელი საქართველოს ბედს სოციალ-დემოკრატიული პარტიის ლიდერები რევოლუციისა და მის მონაპვარის დაცვასთან აიგივებდნენ. ნათქვამის საილუსტრაციოდ საქართველოს ეროვნულ საბჭოში ალექსანდრე ლომთათიძის ასეთი გამონათქვამიც გამოდგება: ,,იმ დღიდან, რა დღიდანაც რევოლუცია გათავდება საქართველოში, საქართველოს დამოუკიდებელი არსებობაც მოისპობა“.[15]

ქართული სოციალ-დემოკრატიის მესვეურთათვის „ჯარის იდეალი იყო შვეიცარიული სახალხო მილიციის სისტემის მსგავსი შეიარაღებული ძალები“.[16] ნოე ჟორდანია აცხადებდა: ჯარი არ

[13] გაზ. „შრომა“, 1921 წ, 13 თებერვალი.

[14] გაზ. ,,სახალხო საქმე“, 1919 წ., 26, 30 იანვარი.

[15] გაზ. ,,საქართველოს რესპუბლიკა“, 1918 წ., 3 აგვისტო.

[16] სილაქაძე დ., საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება და დისკუსია სახალხო გვარდიის შექმნის თაობაზე 1918 წ ზაფხულში, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის

უნდა იყოს მუდმივი: „დემოკრატია ვერ შეურიგდება მუდმივ ჯარს. ჩვენ უნდა შევქმნათ სახალხო მილიცია“.[17] ამიტომაც იყო, რომ სოციალ-დემოკრატები უპირატესობას თავიანთ პარტიულ გვარდიას ანიჭებდნენ.

არ იქნება სწორი, ვთქვათ რომ, საქართველოს სოციალ-დემოკრატიული ხელისუფლება, არ ცდილობდა, შეექმნა ბრძოლისუნარიანი და მტკიცე არმია, მაგრამ იგრძნობოდა, რომ მთავრობა პარტიული ნიშნით დაკომპლექტებული სახალხო გვარდიისადმი მეტ სიმპათიას ამჟღავნებდა, ვიდრე მუდმივი ჯარისადმი. ნოე ჟორდანიას სიტყვებით: სახალხო გვარდია ,,შეგნებულ მუშებთან“ ერთად სახელმწიფოს აღმშენებელი ძალა იყო.[18] ეს გარემოება მემარჯვენე ოპოზიციის მხრიდან მძაფრ და დაუნდობელ კრიტიკას იწვევდა. მათი ღრმა რწმენით, ქვეყანაში ერთიანი სამხედრო ძალა უნდა არსებულიყო, რომელიც დაექვემდებარებოდა სამხედრო სამინისტროს და ერთიან სარდლობას, მაშინ, როდესაც სახალხო გვარდია თავისი მთავარი შტაბის მეშვეობით მხოლოდ მთავრობის თავმჯდომარეს ექვემდებარებოდა.

მემარჯვენე ოპოზიცია მიუთითებდა, რომ სამხედრო ძალა უპირველესად გამსჭვალული უნდა ყოფილიყო არა პარტიული განწყობილებით, არამედ – ეროვნულ-სახელმწიფოებრივი სულისკვეთებით. ამის მისაღწევად ეროვნულ-დემოკრატებს სხვა ღონისძიებების პარალელურად, აუცილებლად ესახებოდათ ჯარის ნაწილებისათვის ეროვნული უნიფორმის შემოღება. გრიგოლ ვეშაპელი შენიშნავდა: ,,შეუძლებელია ჯარმა შეხედოს თავის თავს, როგორც სახელმწიფოებრივ-ეროვნულ ძალას, დამოუკიდებელს ყოველმხრივ სხვა სამხედრო ძალასთან, სანამ ჩვენს ჯარებს არ ექნებათ

საქართველოს საისტორიო საზოგადოება. აფხაზეთის ორგანიზაცია, საისტორიო ძიებანი, XII, 2013-2015, გვ. 206.

[17] გაზ. „სახალხო საქმე“, 1918 წ., 17 თებერვალი.

[18] გაზ. ,,ერთობა“, 1918 წ., 30 აგვისტო.

დამოუკიდებელი ქართული ეროვნული ფორმა. ...ფორმა უნდა იყოს ისეთი, რომ, ერთის მხრივ, შეეფერებოდეს ჩვენი ქვეყნის ბუნებრივ პირობებს, ჩვეულებებს, ტრადიციებს და ამავე დროს იყოს დამოუკიდებელი იმ მხრივ, რომ განირჩეოდეს ჩვენი ჯარი სხვა ჯარისაგან, განსაკუთრებით რუსეთის სამხედრო ნაწილისაგან".[19]

რეგულარული ჯარისა და გვარდიის თანაარსებობისა თუ ერთ სისტემაში გაერთიანების საკითხებზე დაპირისპირება სოციალ-დემოკრატიულ პარტიასა და მემარჯვენე ოპოზიციას შორის საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დაცემის შემდეგაც, ემიგრაციაშიც გრძელდებოდა.[20]

აღსანიშნავია, რომ რეგულარული არმიის შექმნას ერთხანს უნდობლად ეკიდებოდა ფედერალისტური პარტიაც.[21] „სახალხო წითელი გვარდია" თავიანთ იდეალად მიაჩნდათ ესერთა პარტიასა და მისი საპარლამენტო ფრაქციას. მათი აზრით, „მთელი მშრომელი ხალხი უნდა შეადგენდეს ერთ რევოლუციონურ გვარდიას. ...გვარდია არის შეიარაღებული მშრომელი ხალხი მინიატურაში, ჩვენი მისწრაფება, მოთხოვნილება კი არის შეიარაღება მთელი მშრომელი ხალხის, მუდმივი ჯარის ნაცვლად, რომლის არსებობა შეუთავსებელია ჭეშმარიტად თავისუფალ ხალხოსნურ რეჟიმთან. ...სახალხო რევოლუციონური გვარდია ჩვენი პრინციპია".[22]

ესერები თვლიდნენ, რომ საქართველოს ,,ნივთიერი მდგომარეობა" ვერ უზრუნველყოფდა მუდმივი რეგულარული ჯარის შენახვას და ამასთან, ეს არც იყო აუცილებელი ქვეყანაში დემოკრა-

[19] საქართველოს დამფუძნებელი კრება, 1920 წლის 6 აპრილის სხდომის სტენოგრაფიული ანგარიში, გვ. 6-7.

[20] ჯანელიძე ო., ნარკვევები საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ისტორიიდან, თბ., 2002, გვ. 419.

[21] საქართველოს ერეოვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1836, ანაწ. 1, საქმ. 9, ფურც. 32.

[22] გაზ. „შრომა", 1921 წ., 16 იანვარი.

ტიული წყობილების განმტკიცებისათვის.[23] ცოტა მოგვიანებით ესერებმა საჭიროდ მიიჩნიეს ,,საქართველოს დემოკრატიული რეს-პუბლიკისადმი თავგანწირვით გამსჭვალული“, ,,ტექნიკის უკანას-კნელ სიტყვის თანახმად ორგანიზაციულად მოწყობილი“, ძლიერი ჯარის შექმნა. იმავდროულად, მთავრობას ურჩიეს, მიზნად დაესახა ,,სახალხო მილიციის სისტემაზე აგებული შეიარაღებული ძალების ჩამოყალიბება“.[24]

1921 წლისათვის შემუშავებულ თავის კონსტიტუციის პრო-ექტში ესერთა პარტიამ ჩაწერა: „მუდმივი ჯარი გაუქმებულია. რეს-პუბლიკის შეიარაღებულ ძალას შეადგენს სახახლო მილიცია“ (მუხლი 74, 75).

ერთადერთი სფერო, სადაც ოპოზიცია უფრო კონსტრუქცი-ულად თანამშრომშრომლობდა ხელისუფლებასთან, საგარეო პო-ლიტიკა იყო. საგულისხმოა, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დიპლომატიური წარმომადგენლობები სხვადასხვა ქვეყანაში მნიშვნელოვანწილად ოპოზიციური სპექტრის წარმომად-გენლებითა და უპარტიო კადრებით იყო დაკომპლექტებული.

ქვეყნის წინაშე მდგარი თითქმის მუდმივი საფრთხე ხელი-სუფლებასა და ოპოზიციას დროებით ავიწყებდა პარტიულსა თუ კლასობრივ წინააღმდეგობას და შეკავშირებისა და ერთად დგომი-საკენ უბიძგებდა. როგორც დამფუძნებელი კრების ტრიბუნიდან შალვა ნუცუბიძე აცხადებდა: ,,როდესაც მტრის წინაშე ვდეგევართ, ჩვენმა ერმა და ჩვენს ირგვლივ მოსახლე ერებმა უნდა დაინახონ ჩვენი ერთსულოვანი განმზადება ბრძოლისათვის“.[25]

ყოველი საგარეო საფრთხის ვითარებაში ხელისუფლებასთან ოპოზიციური სპექტრის დაპირისპირების სიმძაფრე რომ მართლაც იკლებდა, ამას სოციალ-დემოკრატიული პარტიის ოფიციოზიც

[23] გაზ. ,,შრომა“, 1919 წ., 12 თებერვალი.
[24] გაზ. ,,შრომა“, 1918 წ., 10 აგვისტო.
[25] გაზ. ,,სახალხო საქმე“, 1920 წ., 9 ნოემბერი.

მოწმობს. გაზეთ ,,ერთობის“ მეთაური წერილის მიხედვით, ჩვენს ოპოზიციას ძალიან ხშირად გააფთრებით და დაუნდობლად უბრძოლია მმართველი პარტიის წინააღმდეგ, მაგრამ ,,სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ ეს გააფთრება და პარტიული ანგარიშების გასწორება მუდამ ყუჩდებოდა, როდესაც კი რესპუბლიკის არსებობა საფრთხეში ვარდებოდა“.[26] ამ მოვლენაში აკაკი ჩხენკელი ერის კულტურის მახასიათებელ ნიშანს ხედავდა და აცხადებდა: ,,როდესაც გარედან გვადგება საფრთხე, ჩვენ ერთნი ვართ განურჩევლად რწმენისა და ეროვნებისა“.[27]

სამწუხაროდ, მმართველ ძალასა და ოპოზიციურ ფრაქციებს შორის შეუთანხმებლობა ზოგჯერ საგარეო პოლიტიკის საკითხებშიც იჩენდა თავს. ამ მხრივ ესერები გამოირჩეოდნენ. სანიმუშოდ ერთ მაგალის დავჯერდეთ, თუმცა ქართველმა ესერებმა პოლიტიკურ პარტიათა უნისონში ბზარი სხვა დროსაც შეიტანეს.

ცნობილია, რომ პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე მიიღეს გადაწყვეტილება, შეექმნათ უნივერსალური საერთაშორისო ორგანიზაცია ერთა ლიგა. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა იმთავითვე აქტიურად დაინტერესდა ამ საკითხით. მთავრობამ ერთა ლიგაში თავის წარმომადგენლად საგარეო საქმეთა მინისტრი ევგენი გეგეჭკორი დანიშნა და დაავალა მას, მიემართა ლიგის ანსამბლეისათვის ამ საერთაშორისო ორგანიზაციაში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მიღების თხოვნით. 1920 წლის ნოემბერში დამფუძნებელი კრების სოციალ-დემოკრატიულმა, ეროვნულ-დემოკრატიულმა და ფედერალისტთა ფრაქციებმა მთავრო-

[26] გაზ. ,,ერთობა“, 1920 წ., 17 ოქტომბერი.

[27] საქართველოს დამფუძნებელი კრება, 1919 წლის 5 ნოემბრის სხდომის სტენოგრაფიული ანგარიში, გვ. 10. მსგავსი აზრი ჯერ კიდევ 1895 წელს გამოთქმული აქვს ნოე ჟორდანიას. მისი სიტყვით: „თუ შინაურ ცხოვრებაში ვიბრძვით, გარეშე მტრის წინააღმდეგ ერთად ვდგევართ. ეს არის არსებითი თვისება უმაღლესი განვითარებისა“ (გაზ. „კვალი“, 1895, მარტი, # 11, გვ.).

ბის ეს მოქმედება ერთხმად მოიწონეს. საპირისპირო შეხედულება გამოთქვა მხოლოდ ესერთა პარტიის ლიდერმა ლეო შენგელაიამ. მისი სიტყვით, ,,საქართველოსათვის არ არის ხელსაყრელი ერთა ლიგაში ჩარიცხვა, რადგან იგი გამარჯვებულ იმპერიალისტთა ორგანიზაციაა, რომლის მიზანი არის პატარა ერებისა და კოლონიების ყვლეფა; ერთა ლიგა არის ბურჟუაზიული ინტერნაციონალი და სოციალისტებისათვის იქ შესვლა სათაკილოა.“ ,,როცა იქ შედიხართ, – აფრთხილებდა შენგელაია დამფუძნებელ კრებას, ისიც უნდა იცოდეთ, რომ ვალდებული ხართ, ყოველი მისი დადგენილება შეასრულოთ, და ჩვენ არ ვურჩევთ ჩვენ ერს ასეთი დიდი ვალდებულების მიღებას“.[28] სოციალისტ-რევოლუციონერთა ფრაქციამ კენჭისყრისას ხმა რეზოლუციის წინააღმდეგ მისცა, რომლის თანახმადაც დამფუძნებელი კრება ერთა ლიგაში საქართველოს შესვლას მხარს უჭერდა.

ცნობილია, რომ 1920 წლის დეკემბერში ერთა ლიგაში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მიღების საკითხი მისთვის უარყოფითად გადაწყდა, მაგრამ დიდ სახელმწიფოთა ამ პოლიტიკურ გადაწყვეტილებაში ქართველ ესერებს წილი არ მიუძღოდათ.

როგორ ესმოდათ ოპოზიციონერობა დამფუძნებელი კრების ოპოზიციურ ფრაქციებს? სოციალისტ-ფედერალისტები აცხადებდნენ, რომ ოპოზიცია არ იყო ვალდებული გეგმები ეძლია ხელისუფლებისათვის. ისინი მიმართავდნენ ხელისუფლებას: ,,გეგმები თქვენ უნდა მოგვიტანოთ, თქვენ უნდა განახორციელოთ და თუ ვერ გააკეთბთ საქმეს კარგად, ჩვენ უნდა კრიტიკის მათრახით გცემოთ“.[29]

---

[28] გაზ. ,,საქართველო“, 1920 წ., 11 ნოემბერი; გაზ. ,,საქართველოს რესპუბლიკა“, 1920 წ., 12 ნოემბერი.

[29] საქართველოს დამფუძნებელი კრება, 1920 წ. 27 თებერვლის სხდომის სტენოგრაფიული ანგარიში, გვ. 34.

სოციალისტ-რევოლუციონერთა ფრაქციის ლიდერის ლეო შენგელაიას სიტყვებით: ,,სოციალ-დემოკრატიას ვერ გაუგია, რომ ჩვენ ფორმალურად პასუხს არ ვაგებთ, რადგანაც ფორმალურად ის არის პასუხისმგებელი, რომელსაც ერმა თავისი ბედი ჩააბარა... ზნეობრივად და ფაქტიურად ჩვენ პასუხს ვაგებთ, ერისა და ისტორიის წინაშე... ჩვენი ოპოზიცია არის ხალხის პოზიცია თქვენს (სოციალ-დემოკრატიის, – ო.ჯ.) წინააღმდეგ. თქვენი პოზიცია კი არის ოპოზიცია ხალხის წინააღმდეგ. ამაშია ჩვენი განსხვავება“.[30]

მემარჯვენე ოპოზიციის წარმომადგენლის ვასილ წერეთელის თანახმად, მმართველი ძალის ულმობელი კრიტიკა და მისი ,,ცრუ პოლიტიკისათვის ფარდის ახდა“ ეროვნულ-დემოკრატების მოქალაქეობრივი მოვალეობაა.[31] გაზეთი ,,საქართველო“ კი აზუსტებდა: ,,ოპოზიციაში რომ ვართ ეს იმას კი არ მოასწავებს, რომ, რასაც მთავრობა წაახდენს, არ გვეწყინება, ან სადაც ჩვენი დახმარება საჭიროა, არ დავეხმარებით“.[32]

ამ მხრივ, საინტერესოა ნიკო ნიკოლაძის მიმართვაც დამფუძნებელი კრების სოციალ-დემოკრატიული უმრავლესობისადმი, რომელიც ასე ჟღერს: ,,ბატონებო, ჩვენს ფრაქციას სულ სხვანაირად ესმის თანამშრომლობა დამფუძნებელ კრებაში, ვიდრე თქვენს ფრაქციას. ჩვენ გვგონია, რომ როდესაც ვლაპარაკობთ, ვლაპარაკობთ არა იმიტომ, რომ გითხრათ, ჩამოდექით და ჩვენ დავსხდებით თქვენს სკამებზეო, ჩვენ გვაინტერესებს ჩვენი მამულის და თავისუფლების განმტკიცება, ჩვენ მტრულად კი არ ვლაპარაკობთ, ვლაპარაკობთ ძმურად!“[33]

---

[30] საქართველოს დამფუძნებელი კრება, 1920 წ. 1 მარტის სხდომის სტენოგრაფიული ანგარიში, გვ. 10.

[31] გაზ. ,,საქართველო“, 1918 წ., 19 ივნისი.

[32] გაზ. ,,საქართველო“, 1918 წ., 21 ივნისი.

[33] ჯანელიძე ო., ნიკო ნიკოლაძე. ბიოგრაფიიდან ამოხეული ფურცლები, თბ., 1998, 64.

უმრავლესობისაგან განსხვავებით, სოციალ-დემოკრატიულ პარტიას ჩამოშორებული ჯგუფი ,,სხივი“ იზიარებდა ხელისუფლებისადმი კრიტიკული მიდგომის აუცილებლობას. „სხივის“ ფრაქციის თვალსაზრისით, ,,ოპოზიცია საქმიანი, კეთილსინდისიერი, სწორი გზის მაჩვენებელი, შეცდომების აღმნუსხველი - საღი და აუცილებელი მოვლენაა“. ოპოზიციური კრიტიკა აუცილებელია, რადგან ,,სადაც უკრიტიკობაა, იქ უპასუხისმგებლობაა, სადაც უპასუხისმგებლობაა, იქ თვითნებობაა, თვითნებობა კი ყველასათვის მიუღებელია“.[34]

საინტერესოა ოპოზიციური ფრაქციების შეფასებებიც ხელისუფლების თვალსაჩინო წარმომადგენელთა მხრიდან: სოციალ-დემოკრატიის ერთ-ერთი აღიარებული ლიდერი ირაკლი წერეთელი აცხადებდა: ,,ჩვენ გვიძნელდება ეროვნულ-დემოკრატებთან ბრძოლა, რადგან არ ვიცით თუ საიდან მოიტანენ იერიშს“,[35] ან კიდევ: ,,ჩემთვის ბატონ ნაციონალ-დემოკრატებთან კამათი დიდი სასჯელია“.[36]

სახალხო გვარდიის მეთაური ვალიკო ჯუღელი, ადარებდა რა ერთმანეთს მემარჯვენე და მემარცხენე ოპოზიციის მიერ ხელისუფლების კრიტიკას, მიიჩნევდა: „კრიტიკა სპ. კედიასი ბევრად უფრო საყურადღებოა, ვიდრე შენგელაიასი. ეს იმიტომ, რომ სპ. კედია ცდილობს მოიყვანოს საბუთები, ფაქტები და მათ ნიადაგზე დადგეს. მემარცხენე ორატორებს კი თავის მსჯელობაში სუბიექტური და დემაგოგიური მოტივები შეაქვთ“.[37]

ნოე ჟორდანია წერდა, რომ ეროვნულ-დემოკრატებს ,,ღვთის წყალობაც ღვთის რისხვად ეჩვენებოდათ“ და რომ ,,ეს იყო ოპოზიცია ოპოზიციისათვის და არა საქმისათვის. ...ჩვენ ვაკეთებდით

[34] გაზ. ,, ახალი სხივი“, 1920 წ., 30 მაისი.

[35] გაზ. ,,საქართველო“, 1918 წ., 9 აგვისტო.

[36] საქართველოს ეროვნული საბჭო: სტენოგრაფიული ანგარიშები გვ. 42 (გაზ. ,,საქართველოს რესპუბლიკა" დამატება), 1918 წ., 10 სექტემბერი.

[37] გაზ. ,,სახალხო საქმე“, 1921 წ., 5 იანვარი.

იმას, რის გაკეთებაც შეიძლებოდა ასეთ პირობებში, ოპოზიციონერები კი აყენებდნენ რა სჯობიას თეორიას“.[38]

კონკრეტული ფაქტობრივი მასალის ანალიზი ცხადყოფს, რომ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში ოპოზიცია, როგორც მემარჯვენე, ისე მემარცხენე, თავის თავს ხელისუფლების რეალურ ალტერნატივად არ განიხილავდა, რადგან საამისო სრულფასოვან რესურსს იგი მოკლებული იყო. ოპოზიციური ფრაქციები არსებითად კმაყოფილდებოდნენ ადმინისტრაციის მხრიდან უკანონობისა და დარღვევათა გამოვლენა-მხილებით, სოციალურ, პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ სფეროებში მთავრობის მუშაობაში შემჩნეულ ხარვეზებზე კრიტიკული რეაგირებით, ასევე, კანონპროექტებში ცაკეული ცვლილებების შეთავაზებით და სხვა, რაც მათ კონსტრუქციულობას ცხადყოფს. ხელისუფლებასთან ოპოზიციის კონსტრუქციული თანამშრომლობის ფაქტად უნდა მივიჩნიოთ მათი მონაწილეობა საქართველოს კონსტიტუციის შემუშავებასა და დამტკიცებაში. უნდა ითქვას ისიც, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა და დამფუძნებელი კრების სოციალ-დემოკრატიული უმრავლესობა დაგვიანებით, მაგრამ მაინც, ზოგჯერ ითვალისწინებდნენ თავიანთ კრიტიკოსთა მოსაზრებებს და ცდილობდნენ მათ ასახვას როგორც კანონმდებლობაში, ისე პრაქტიკულ საქმიანობაში.

[38] ჟორდანია ნ., ჩემი წარსული, თბ., 1990, გვ. 109.

Otar Janelidze

Factions of the Parliamentary Opposition in the Constituent Assembly of Georgia

Abstract

The article examines the activities of the parliamentary factions of the opposition parties of the Socialist-Federalists, National-Democrats, and Socialist-Revolutionaries, formed in the constituent assembly of the supreme legislative body of the Democratic Republic of Georgia, based on factual material. The relationship of these factions with the government on such cardinal issues of state life as economic development, foreign policy, defense, and security is especially studied.

It is noted that neither the right nor the left opposition of the assembly considered themselves a real alternative to the government since they were deprived of full-fledged resources. As for the government of the Democratic Republic of Georgia and the social democratic majority of the assembly, they belatedly, but still sometimes, took into account the opinions of their critics and tried to reflect them both in legislation and in practice.

Key words: Political Party; Constituent Assembly; Opposition; Fraction; Deputy.